№ 2 იანვარი 4, პარასკევი 1891 იანვარი 4, პარასკევი № 2

# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აჭარლის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

«სასულიერო მოამბე საქართველოს საექსარხოსოჲსა»

პირველ მარტიდამ 1891 წლისა

გამოიცემა ტფილისის სასულიერო სემინარიასთან ორჯერ თთვეში ორიდამ სამს საბეჭდავ ფურცელზე რუსულს ენაზე, ზოგ სტატიების (საკითხავების) გადათარგმნით ქართულს ენაზე—შემდეგის შინაარსით:

ოფიციალური ნაწილი. უმაღლესი ბრძანებანი, უკაზები უწ. სინოდისა, განკარგულებანი უმაღლესის სასულიერო და ადგილობრივის საეპარხიო მთავრობათა; ცვალებანი პირთა, რომელნიც სასულიერო უწყებაში მსახურებენ საქართველოს საექსარხოსოში; უწყება მოქმედებათა „კავკასიასა შინა მართლმადიდებლობითის ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა“ და მისი ანგარიშებიც; ცნობანი საექსარხოსო სასულიერო სასწავლებელთა აღ-კარგიანობაზე და მოწაფეთა სახარისხო სიები; ანგარიშნი შესახებ შესავალ-გასავალისა ეპარქიულ სამოსწავლო მზრუნველობათა და სასულიერო სასწავლებელთა.

არა ოფიციალური ნაწილი. სწავლანი, მოძღვრებანი, სიტყვანი და გარეშე-ეკკლესიისა სამოძღვრო ბაასობანი; ცხოვრება წმიდათა მსოფლიო ეკკლესიისა და განსაკუთრებით საქართველო ეკკლესიისა; ბიოგრაფია და ნეკროლოგები იმ თანამედროვე პირთა, რომელთაც თვისის მოქმედებით სარგებლობა მოუტანიათ ეკკლესიისთვის; სტატიები, უმეტესად შესახებ საქართველოჲსა. ზნეობრივის, ისტორიულის და აღწერილობითის ხასიათისა; მატიანე საქართველოს საექსარხოსოს ეკკლესიურის ცხოვრებისა და მიწერ-მოწერანი მისთა საეპარქიოთაგან; განმარტებანი საეჭვო კითხვათა სამღვდელო მოქმედებათა შესახებ; პასუხები სხვა-და-სხვა საჟურნალო სტატიებზე საქართველოს საექსარხოსოს შესახებ; ადვილ გასაგები ცნობები სახალხო ქმობის შესახებ; ცნობანი და შენიშვნანი, და განცხადებანი.

ხელ-მოსაწერი სარედაქციო წლიწადი დაწყებული 1 მარტიდამ თავდება თებერვალით. ხელ-მოწერა მიიღება ტფილისის სასულიერო სემინარიაში. წლიური 4 მანათი, ნახევარის წლისა—2 მანეთი (გაგზავნა რედაქციის ხარჯით).

(5—3)

ВЪ ТИФЛИСѢ ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1891 ГОДЪ

на Армянскую ежедневную политико-литературную газету

„НОРЪ-ДАРЪ“

(восьмой годъ изданія).

Газета „Норъ-Даръ“ въ 1891 году будетъ выходить по прежней программѣ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:** съ пересылкою и доставкою по Россійской имперіи на годъ—10 руб., на полгода—6 руб., на три мѣсяца—3 руб. 50 коп.; за границу на годъ 40 франковъ.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

**Подписка** принимается исключительно въ конторѣ газеты „Норъ-Даръ“, въ Тифлисѣ, на Баронской улицѣ, домъ № 12, противъ почтово-телеграфной конторы.

**Объявленія** принимаются на всѣхъ языкахъ по умѣренной платѣ, въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, и въ Москвѣ, въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, Мясницкая, д. Спиридонова.

Адресъ: **Тифлисъ**, въ редакцію **„Норъ-Даръ“**.

Редакторъ-издатель **Спандаръ Спандарьянъ**.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში:

სახალხო კალენდარი

ფასი 10 კაპ.

მისივე

საქართველოს დიდი კალენდარი

ფასი 40 კაპ.

## ძველი შეცდომა

(ბ-ნ ალ. ხახანაშვილის წერილის გამო)

„Нов. Обоз.“-ში (№ 2406) დაბეჭდილი წერილი, გადმოთარგმნილი „ივერიაშიაც“ № 269 ახალციხის და ახალქალაქის მაზრების (მესხეთი და ჯავახეთი) შესახებ ბევრს საგანზე დააფიქრებს და ამოუქოთებს კაცს მრავალს აზრებს. ბევრი რამ ამ ნაფიქრში, ერთმანეთს ეჯახება, ბევრი რამ შეებაასება და ზოგი ისეთი ღონისძიება, რაც ერთხელ ჭეშმარიტ ჭირის წამლად ჰქონებიათ, სულ გამოუყენებელ ღონისძიებად გამოდგება.

ჩვენი ახალგაზრდა მწერალი ბ-ნი ალ. ხახანაშვილი ყურადღებას აქცევს „Нов. Обоз.“-ის ერთს ამბავს იმის შესახებ, რომ ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსი შუამდგომლობს „ორი სამისიონერო დაარსებას მწვალებლებთან (სექტანტების) საბრძოლველათო“. ბატონი ხახანაშვილი თავისის წერილით აქაურ „სასულიერო მთავრობის ყურადღებას აქცევს ქრისტიანობის სამწუხარო და სავალალო მდგომარეობას ძველ მესხეთში“. შემდეგ ამბობს, რომ კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ მთელი თავისი ყურადღება მარტო ოსეთს მიაქცია და არაფერს არა ზრუნავს ზემო და ქვემო ქართლზეო“.

მთელი აზრი ბ-ნ ხახანაშვილის წერილისა ისეა გამოხატული, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მესხეთისათვისაც საჭიროა სამისსიონერო დაარსებაო. მაგრამ გარკვევით-კი ვერ გვესმის, რა მოქმედებაში უნდა გამოიხატოს მისსია ძველ ეკკლესიების მეჩითად გადაკეთებულების, ჩამორთმევით და მღვდლების დანიშვნით მუსულმან სოფლებში, თუ ძველ მონასტერში. ბერ-მონაზონთა შტატების დაწესებით, ან მაჰმადიან სოფლებში საავადმყოფოების გამართვით ექიმ მღვდლების ზედამხედველობის ქვეშე ანუ ობოლ-ოხერთა თავ-შესაფარის აშენებით, ანუ სკოლების დაფუძნებით თუ სხვითი რითიმე. აი რამდენი რამ არის შეერთებული სიტყვა „მისსიასა და მისსიონერთან“. რამდენი კიდევ მრავალი რამ შეიძლება კაცმა ჩამოსთვალოს, მაგალითად, სამისსიონერო ჟურნალის ან გაზეთის დაარსება ადგილობრივ ენაზე, წიგნების ბეჭდვა, სახელოსნოების დაწესება სკოლებთან, სკოლები ადგილობრივ ენაზე ყველა საგნების სწავლებით და სხვანი და სხვანი.

ჩვენ ქართველებში ალალბედად შეხედვებით ლაპარაკს და სამისსიონერო საქმედაც მარტო ისა ჰგონიათ, აი მღვდელი დანიშნეს, კაი ჯამაგირი მისცეს, ან კიდევ ამა და ამ მღვდელმა ერთი ურია ან ოსი მონათლაო. ბ-ნ ხახანაშვილს რასაკვრელია ამ უმეცრებაში ვინ გარევს, მაგრამ რაკი ამ სამისსიონერო საგანს შეეხო და მოუვლია კიდეც მესხეთი, უფრო გამორკვეული აზრი გვეჭირებოდა ამისთანა დროს, როდესაც მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ცხადლად ეგზარხოსი მეცადინეობს საქართველოს ეკკლესიის და მის მსახურთა მოქმედებაში მომატებულის სიცოცხლის შემოტანასა.

უნდა აღვიაროთ რომ Нов. Обоз. ამბავი სამისსიონეროს დაწესებაზე მწვალებლობასთან ბრძოლისათვის, და არა მაჰმადიანობასთან ბრძოლისათვის შორს მხედველს, საქმის და ადგილობრივ გარემოების მცოდნეს შეეძლო. ამიტომ ბ-ნ ხახანაშვილის საყვედური უსაფუძვლოა.

ბრძოლა მაჰმადიანობასთან მთელმა მისსიონერობის ისტორიამ უარჰყო. ჩვენ არ შეუდგებით მრავალ წერილ და მსხვილ მოლაპარაკეთა მსგავსად ამის მიზეზების გამოკვლევასა; შორს წაგვიყვანს. ისტორიულ ფაქტებს დავაკვირდეთ. დღევანდლამდე ყველგან აზიაში, აფრიკაში და თვით ავსტრალიის კუნძულებზე ქრისტიანობის გავრცელებით თავი იჩინეს კათოლიკე სამღვდელოებამ. ვერც ინგლისის, ვერც ამერიკის და ევროპის სხვა-და-სხვა პროტესტანტ სამღვდელოებამ ვერ მოახერხა იმოდენა ხალხის გაქრისტიანება, როგორც კათოლიკე სამღვდელოებამ. ამისთანა მოხერხებულს მისსიონერობას თავი უნდა დაენებებინა მაჰმადიანთა შორის ქრისტიანობის ქადაგებისათვის არამც თუ მუსულმან სახელმწიფოებში, არამედ ინდოეთშიაც, სადაც მაჰმადიანობას მოსარჩლე და მფარველი არა ჰყავს. თვით საფრანგეთის საბძანებელ ალჟირშიაც მისსიონერების საქმეში დახელოვნებულმა საფრანგეთის მისსიონერებმა და მათთან იეზუიტებმა ვერა გაიგეს-რა. მათი ყურადღება მიქცეული იყო წარმართ-კერპთ-მსახურებზე ჩინეთში, ინდოეთში, აფრიკის და ავსტრალიის ველურებზე, ანუ არა კათოლიკე ქრისტიანებზე; სპარსეთში აისორ ნესტორიანებზე, ოსმალეთში კიდევ აისორებზე, სომხებზე, ბერძნებზე, ბოლგარებზე; ამერიკის შეერთებულ შტატებში და ინგლისში სხვა-და-სხვა პროტესტანტ მრევლზე.

იმასვე ვხედავთ აღმოსავლეთ მართლმადიდებელ ეკკლესიის მისსიაში, საკუთრად რუსეთისაში: რუსეთის მისსიონერობამ ვერაფერი ვერ მოიქმედა მაჰმადიანებზე, ვერც ყაზანში ძველ სამეფოში, ვერც ყირიმში, ვერც სამხრეთ ნაწილებში, სადაც მაჰმადიანობაა. მისსიონერობამ თუ გაიმარჯვა ისევ წარმართ სიბირის ხალხებში და რასკოლნიკებში. ამისთანა ისტორიული გამოცდილება რომ წინ უდევს კაცსა, განა შეიძლება ამაო შრომად არ ჩასთვალოს მისსიონერობა მაჰმადიანობასთან ბრძოლისათვის? რამოდენა ხარჯი, ჯაფა, დრო, სამღვდელოთა სახოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩაგდება უნდა მოჰყვეს. უეჭველად ეს გარემოება ჰქონია მხედველობაში შორს-მჭვრეტელ მოსაქმეს, რომელსაც უთხოვნია რასკოლნიკებში მისსიონერობის დაფუძნება.

დავხედოთ ახლა ჩვენს აქაურობას და მოვიგონოთ რა გაკეთებულა.

მისსიონერობის შესახებ სულ პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას სრულიად უყურადღებოდ არ დაუგდია ახალ-ციხის და ახალ-ქალაქის მხარე, როგორც ისაყვედურება ბ. ხახანაშვილი. 1863 წლიდამ ახალციხე—ახალქალაქისკენ სკოლები გამართა. ეს სკოლები დიდხანს შეინახა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ იხეირა. მუსულმან სოფლებს ამ სკოლებისაგან სარგებლობა ვერ დაეტყო და ბოლოს დაიკეტა, რადგან ხარჯი უბრალოდ მიდიოდა. აი რა შეიძლება ქრისტ. აღმადგენელ საზოგადოების გამოსარჩლებისათვის ითქვას: აქაც გამოცდილებამ თვალ-ნათლად დაგვიმტკიცა, რომ მოსულმანობასთან ბრძოლა არ შეიძლება და ამ საქმეს თავი უნდა დავანებოთ.

ყოველი ჩვენგანი, ვისაც ჩვენი ქვეყნის და მის ხალხის სიკეთე სურს, ყველა იმას ფიქრობს, რომ უნდა დავიახლოვოთ ჩვენი მოძმე მუსულმანებიო. ეს დაახლოვების აზრი ყველასთვის ძვირფასია. მაგრამ ძველი, შემცდარი აზრია, ვისაც ჰგონია რომ დაახლოვების ღონისძიება სარწმუნოებააო. ამ სტრიქონების დამწერიც ყოფილა ახალციხისკენ და ბათუმის მხარეშიაც, უნახავს იქაურ ხალხის ყოფა-ცხოვრება და გაკვირვებულა იმ მუსულმანების სიახლოვეს ჩვენზე, რომელსაც თვალითა ხედავს კაცი. ბათუმის მხარეში უფრო მომეტებულს ვიდრე ახალციხისაში. ჩვეულება, ენა იგივეა რაც გურიაში ანუ საზოგადოდ იმერეთში. ახალციხის მხარეში განსხვავება ქართლთან დიდია. ბ-ნი ხახანაშვილი მიაწერს ამ ამბავს იმ გარემოებას, რომ ახალციხის შემოერთების დროს აზრუმის მხრიდამ გადმოსახლებულებს, მაგალითად ქურთებს უფრო მომეტებული შეღავათი ჰქონდათ მიცემული, ვიდრე მკვიდრ ხალხსაო. ღალ ამისი მიზეზი ბევრი იყო გლეხების მამულებისა, ძველ თავად-აზნაურთა (ბეგების) წოდების საქმე; და სხვა ამ გვარები. ამათ შორის ერთიც იყო დაშორების მიზეზი, რომელიც დღეს უნდა მოვიგონოთ.

რუსის კანონი ნებას არავის არ აძლევს ძალით მუსულმანი გააქრისტიანოს, დღევანდლამდე ეს კანონი თან და თან უფრო მკვიდრდება. ეს კარგად იცის ჩვენმა მუსულმანმა ხალხმა ახალციხის მხარესაც და ბათუმის მხარესაც. ყოველ მუსულმანს ნება აქვს თავისი სალოცავი ადგილი რამე იქონიოს, ცოლ-შვილი თავის რჯულზე ჰყავდეს. ერთის სიტყვით არავის არ შეუძლიან არც ქრისტიან მღვდელს არც ქრისტიან მთავრობას ძალა იხმაროს და მონათლოს ქრისტიანად. ვინმემ რომ გაბედოს და ძალათი მონათლოს, ძალათ მონათლულს ისევ თავის რჯულზე შეუძლია გადავიდეს და მამნათლელი პასუხის გებაში მიეცემა, დაისჯება. ეს კანონი როგორც ვსთქვით მუსულმანმა ჩვენმა ძმებმა კარგად იციან ახალციხისკენაც, ახალქალაქისკენაც და ბათუმის სანჯახშიაც. მაგრამ მაინც და მაინც შიშობენ, შორს გვიყურებენ და ეფიქრებათ, არ იქნას და ხელი არ ჩაგვავლონ, ძალათ არ გაგვაქრისტიანონო.

რა მიზეზია ამისი? ის მიზეზია რომ სულ პირველად ისევ ჩვენი ქართველები დაბალ ხარისხის მოხელე-ჩინოვნიკები უაზროდ იქცეოდნენ, როდესაც ახალციხე შემოუერთდა რუსეთსა. ეს ვაჟბატონები დღევანდლამდე ისე იქცევიან, როგორც არ შეჰფერის გონიერს კაცსა. შეხვდებოდა ეთქვათ მუსულმანი გლეხი ქართულის გვარისა და ქართულად მოლაპარაკე.

— რა გვარი ხარ? ჰკითხავდა მოხელე ქართველი.

— კოპაძე ალია, შენიჭირიმე, უპასუხებდა გლეხი.

— კოპაძე! ბიჭო ქართველი ყოფილხარ.

— არა შენ გენაცვალე, პაპის პაპა ყოფილა, მე ქართველი არა ვარ, ეუბნებოდა გლეხი.

— როგორ ქართველი არა ხარ! გვარი ქართველისა გაქვს, ქართველი ხარ, ქართველი. ქართულსაც კარგა ლაპარაკობ; რა გაკლია ქართველობას. მოდი შვილო მოინათლე და გათავდა საქმე.

— არა შენ გენაცვალე, რა რჯულზედაც დავბადებულვარ, იმ რჯულზე უნდა მოვკვდე, მამა პაპა მუსულმანი ყოფილა, მეც იმათ რჯულზედ უნდა დავრჩე.

— ბრიყვი ხარ, არა გესმის-რა. საჩუქარს მიიღებ. მოინათლე, ეუბნებოდა ცეტი წვრილფეხა ჩოხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდიოდა დაღონებული მუსულმანი გლეხი, შესჩიოდა თავის მეზობლებს და ერთი ვაი ვაგლახი შეუდგებოდათ. უსწავლელი, გაუგებარი სოფლის ხალხი ათასგვარად ატრიალებდა ამ ლაპარაკსა და ბოლოს იქამდინ მიიყვანა, რომ საზოგადო აზრი დაიბადა მთელს ახალციხის მაზრაში, ძველი ქართული გვარი აღარავინ არ დაირქვას; ქართულ ლაპარაკში თავს ნუ იჩენს და ეცადოს ოსმალურად ილაპარაკოს შინაც და გარეთაც; თუ ვინმემ ჰკითხოს ქართველობის ჩამომავლობა, უარი სთქვას, ამიტომ, რომ ქართველი ქრისტიანსა ნიშნავს! ვინც ასე არ მოიქცევა ჩააციედებიან ხალხსა და ბოლოს ძალათი დანათლავენ ქრისტიანთაო, ამისთანა ხმებმა ხალხი დააშინა და უკანასკნელ ომის წინად ახალციხის მაზრის რამოდენიმე სოფლიდამ ხალხი გადასახლდა ოსმალეთში.

ბათუმი შემოგვიერთდა ახალციხეს ორმოც-და-ათი წლის შემდეგ; დიდმა ხანმა გაიარა და ამიტომ ის შეცდომა, რაც ახალციხეში მოხდა, უფრო ნაკლებად ენახეთ ბათუმის სანჯახში. ხალხი უფრო მიხვედრილი იყო, რომ სარწმუნოების მხრით შიში არ უნდა ჰქონოდა, წვრილფეხა მოხელე ჩინოვნიკები ქართველები უფრო გონივრულად ირჯებოდნენ, ვიდრე ახალციხისაში. ყველა ეს ასე იყო, მაგრამ მაინც და მაინც სარწმუნოების შიში დიდი იყო. და ასე ფიქრობდენ, რაკი წინად ჩვენ ქართველები (ესე ეძახიან ქრისტიანს) ვყოფილვართ, აწი გვეტყვიან მოინათლეთო და ამიტომ აღარ იქნება ჩვენი აქანა გაჩერებაო“. სხვა მიზეზებს შორის ერთი უმთავრესი მიზეზი გადასახლებისა ეს იყო. დიდძალი ხალხი აიყარა კობულეთიდამ, ქვედა-აჭარიდამ, მაჭახლიდამ, მურღულიდამ და სხვა ადგილებიდამ.

დღეს ხალხი დამშვიდდა, ის შიში ცოტათი დაწყნარდა და ამისთანა დროს მწერლობაში ვხედავთ ხალხის შემაშინებელ აზრსა?! ეს მეტად სამწუხაროა.

ჩვენს გაზეთებს კითხულობენ, წაკითხულის აზრი ხალხში ივინება მითქმა-მოთქმით, ათას გვარის დამატებით. ქართულს გაზეთს თვით კითხულობენ და რა უნდა იფიქრონ ჩვენ მწერლობაზე? ზოგან ასე ჰგონიათ, რასაც გაზეთში სწერენ, მთავრობაც, მმართებლობაც ამას ფიქრობსო. ამიტომ ამან დაგვაწერინა ეს წერილი, რომ ცრუ აზრი არ ჰქონდეთ ჩვენ ლაპარაკზე და ჩვენ სურვილზე. დარწმუნებული ვართ, არც „Новое Обозрѣніе“ არც „ივერია“ ბ. ხახანაშვილის წერილის თანახმა არ არის, და თუ დაბეჭდეს, ისე დაბეჭდეს, როგორც ერთი კაცის აზრი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ორსავე გაზეთს ერთგვარადა სურთ, რომ ყოველ კაცს სრული თავისუფლება ჰქონდეს, იმ რჯულზე იყოს, რა რჯულზედაც ნებავს და მუსულმანობასთან ბრძოლას ტყვილა-უბრალო ბრძოლად სთვლის.

რაც შეეხება იმას, ბ. ხახანაშვილი რომ ამბობს, ძველი ეკკლესიები ინგრევა, ან ჯამედ გადაუქცევიადო; ამაზე იმას ვიტყვით, რომ საცა ძველი საყდარი ჯამედ გადაუქცევიათ, დღევანდლამდე ხელ-უხლებლად დარჩენილა; (მაგალითად ოსმალეთში პარხალს, ახალციხესთან წახანს), რომელი საყდარიც-კი ჯამედ არ შეცვლილა (მაგალითად აწყურს) იქ დანგრეულა, არქეოლოგიურის განზრახვით შენახვა ეკკლესიებისა სულ სხვა საგანია და არა მისსიონერობისა.

მაშ თავი უნდა დავანებოთ იმ ძველ გზას, ძველ მოსაზრებას, რომელზედაც ისტორიას თავისი განაჩენი დაუდვია, ნუღარ შევაშფოთებთ ჩვენს მუსულმან ძმებსა. რჯულზე, სარწმუნოებაზე ნუღარას ვლაპარაკობთ. არც მმართველობა ლაპარაკობს ამაზე, არც ქრისტიანე სასულიერო მთავრობა და ჩვენ ლაპარაკს პრაქტიკული მნიშვნელობა არცა აქვს და სარგებლობას არ მოგვცემს.

ამაზე გვეტყვიან, მართალია ეგ მოსაზრებაო, მაგრამ ჩვენის ძმების დაახლოვება მაინც უნდა გვსურდესო, დეე ისევ მუსულმანები იყვნენ, მაგრამ მათ ბევრი გაჭირება აქვთ, ბევრს გაჭირებას ხედვენ; ამაში ხომ უნდა დავეხმაროთო. ეს ხომ რჯულის საქმე არ არის!

ეგ დიახ სხვა სიტყვაა. თუ გული შეგვტკივა, მართლა მათ სიკეთე უნდა შევმატოთ და გაჭირებიდამ გამოვიყვანოთ. ბევრი საჭიროება აქვთ, ბევრი რამ დღევანდლამდე უყურადღებოდ არის დატოვებული. აი ამ საჭირო საგნებზე უნდა ლაპარაკი და მოსაზრება, ვრცლად გასინჯვა და მეცადინეობა, რომ საზოგადოებამაც იცოდეს რას მიაპყრას ყურადღება და შეძლებისა დაგვარად მთავრობასაც და მმართველობასაც აცოდინოს.

ჩვენის ღონისძიების დაგვარად აღვნიშნოთ ის საჭირო საგნები:

1, საჭიროა ადგილ-მამულის საქმეს ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში ბოლო მოეღოს. დღევანდლამდე მამულები ამ მაზრებში სოფლის გლეხებს სადაოდა აქვთ ზოგი ბეგებთან, ზოგი გადმოსახლებულ მოვაჭრე მეყიდველებთან, რომელთაც პასკევიჩის დროიდგანვე ხელში ჩაუგდიათ უკანონოდ და ბატონობენ. ბათუმის სანჯახში ამ გვარი არეულ დარეულობა მარტო ქალაქ ბათუმშია. დანარჩენ ადგილებში შეუცვლელად დარჩა ძველი მფლობელობა და კარგადაც მოხდა, ბევრჯელ გაზეთებში ლაპარაკი არის ხოლმე, რომ საჭიროა ბათუმის სანჯახში (ესე იგი ბათუმის და ართვინის ოკრუგში) ადგილ-მამულის მფლობელობის საქმე შეიცვალოსო. ეს სურვილი ეკუთვნის ართვინის და არტანუჯის მედუქნე ვაჭარ აზრუმელებსა, რომელთაც უნდათ ხელში ჩაიგდონ ორ გროშად გლეხების მამულები; ეჩიჩინებიან ეხლავე მამულების გაყიდვასა და ოსმალოში გადასახლებას. მადლობა ღმერთს, რომ მათ სურვილს არავინ ყურს არ უგდებს. რაც შეეხება ქალაქ ბათუმს, იქ საკვირველი ამბები მოხდა. თუმცა მმართებლობამ არ შესცვალა ძველი წესი, მამულები ვინ გინდა არ დაიტაცა და ამის გამო ისეთი არეულობა მოხდა, რომ ეგონებთ ასი წლიწადი მოუნდეს დავების გადაწყვეტასა. რაც უნდა იყოს ძველი კანონის შეუცვლელობა ბათუმს გარედ მთელს სანჯახის სოფლებს არაფერს ზიანს არ აძლევს და გლეხები დაიცვა მშვიდობიან მდგომარეობაში. როგორცა ვთქვით ახალციხის და ახალქალაქის მაზრას ეჭირება მიშველებ.

2) ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში ძველ თავად-აზნაურთა ჩამომავლობის განხილვა დიდი ხანია გაათავა მმართველობის კომისიამ, მხოლოდ აქამდე მათი უფლება არ დამტკიცებულა. ბათუმის სანჯახში არც-კი დაწყებულა ეს საქმე. იქაც მრავალნი არიან თავად-აზნაურთა ჩამომავალნი, რომელთაც უნდა მიენიჭოს იგივე უფლება, როგორიც ეკუთვნისთ. ამ გარემოებას, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების და აგრეთვე ბათუმის სანჯახის თავად-აზნაურობას უფლება მიენიჭოს, ადგილობრივი დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც უნდა მცირე მნიშვნელობა მიაწერონ თავად-აზნაურთა წოდებას საქართველოში, მას ის ფასი აქვს, რომ ქვეყნის ავისა და კარგის გაგებით, სწავლით, გამოცდილებით, უფრო წინა სდგას სხვა წოდებათა შორის. მმართებლობის განკარგულების აზრს ის უფრო მალე მიხვდება და ამ მხრით მმართველობას კეთილ-განზრახვის ასრულებაში სამსახურს უწევს; აგრეთვე საქვეყნო საჭიროებას მთავრობის და მმართველობის წინაშე არდგენს და შუამდგომლობს კანონიერს დაკმაყოფილებას. ამ ჟამად მთელი ახალციხე—ახალქალაქის მაზრაში და ბათუმის სანჯახში კანონის ამხსნელი, ცხოვრების ავ-კარგიანობის ჩამგონებელი მედუქნე ვაჭრები არიან, ჩვენებურ უსწავლელს ვაჟებს განა შეუძლიანთ იმდენი სიმართლით მიხვედრა და საქმის გაგება, როგორც ჩვენ თავად აზნაურობას, რომელსაც მარტო ვაჭრული ანგარიში და სიხარბე-კი არ ალაპარაკებს, ადამიანური, პატრიოტული აზრის გაგებაცა აქვთ მედუქნეებზე მაინც მომეტებული, რამდენ სარგებლობას მოუტანდა სამცხე-საჯავახოს და ბათუმის სანჯახს იქაურ თავად-აზნაურთაც რომ მიეცეს ისეთივე უფლება, როგორც ქუთაისის და ტფილისის სხვა მაზრებსა აქვთ ესე იგი ნება ჰქონდეთ თავად-აზნაურთა კრებისა, მაზრის მარშლების ამორჩევასა და საგუბერნიო კრებაში დასწრებისა და მათთან მუშაობისა. ქართლ-კახეთ-იმერეთის თავად-აზნაურთა ყრილობაში, აზრით და მხედველობით დაახლოვდებოდნენ, სწავლა განათლების საქმეს მომეტებულად შეიტყობდნენ და მიჰყვებოდნენ კეთილ მაგალითებსა; მოქალაქობრიობა ფეხს წინ წასდგავდა ჯერ გარეგანის მხრითა და მერე შინაგანის მხრითაცა. დღევანდლამდე-კი იქაური თავად-აზნაურობა მოწყვეტილია ჩვენ თავად-აზნაურობას და დაახლოვებულია მედუქნე ვაჭრებთანა, რომელთაგან ვერაფერს ვერ სწავლობს.

3) ბათუმის და ახალციხე-ახალქალაქის მუსულმან თავად-აზნაურთა შვილებს გზა გაუხსნან და ყოველ გვარი შეღავათი მისცენ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის ყოველ გვარ სასწავლებლებში და პანსიონებში. დღევანდლამდე ძალიან ცოტა მოსწავლეა ამ ადგილებიდამ და არც ერთი მხარე არ არის ისე მოკლებული ნასწავლ ახალგაზდობას, როგორც ეს მაზრები.

4) გლეხებისათვის ქართულს ენაზე სასოფლო სკოლების დამართვა და მასთან უეჭველად რჯულის მასწავლებელი ხოჯა დიდად დაეხმარება გლეხობას გონების გამოფხიზლებასა და ჩვენთან დაახლოვებასა. ამისთანა სკოლებში კარგი მომზადებული ქართულად მოლაპარაკე და მცოდნე მასწავლებელია საჭირო და არა ყაზანის თათარი, რომელმაც სოფლის გლეხობის გასაგონი ქართული ენა არ იცის, ვერც არას შესწავლის ყმაწვილებსა და ვერც სოფლისათვის იქნება გამოსადეგი.

5) ახალციხე ახალქალაქის მუსულმანი სამღვდელოება ხოჯები და მოლები ექვემდებარებიან კავკასს აქეთა მუფთის, ბათომის სანჯახს საკუთარი მუფთი ჰყავს, რომელსაც ბათუმში აქვს ბინა. საქართველოს მუსულმანთ მაზრები ჩვენის აზრით უკეთესი იქნებოდა ბათუმის მუფთის ექვემდებარებოდეს და ამ გვარად ქართველ მუსულმანობას ცალკედ მიეცეს შინაგანი და გარეგანი მართვა. ეს მით არის სასურველი, რომ ეხლა საქმეთა სიმრავლისა გამო ტფილისის მუფთი და მასთან დაწესებული მეჯლისი ვერ უძლევს, ბათუმის მეჯლისი უფრო დაახლოვებული იქნებოდა თავის მრევლთან და მის საჭიროებას უფრო ადვილად დააკმაყოფილებდა.

6) ამ გვარად შეერთებულს მაზრებისთვის სასწავლებელი იქნებოდა საჭირო, როგორც დღეს ტფილისში არის ხოჯების სასწავლებლად გამართული. იგი მოამზადებდა უფრო შეგნებულ და რჯულის მცოდნე კაცებს, ვიდრე დღეს არიან. ამისთანა სასწავლებელში უეჭველად საჭირო იქნებოდა ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის სწავლება, რომ ხოჯებმა შეიძლონ ხალხს გასაგონის ენით ელაპარაკონ და აუხსნან რჯულის საქმე. დღეს მოუმზადებელი ხოჯები ოსმალურ ენაზე უხსნიან რჯულის საქმესა, რომელიც არ ეყურება ხალხს, მეორეს მხრით ოსმალური ენის შემოღება მუსულმან ჩვენ ხალხში ვისთვის რა საჭიროებაა? ხალხის გასაგონ ენის უარ-ყოფამ ის შემოიტანა, რომ არას დროს კავკასიის მუსულმან, ხალხებში ქართველებში, ლეკებში, ჩერქეზებში, ჩაჩნებში, ყაბართოელებში და სხვა არა თურქ ხალხებში ოსმალურს ენას ისეთი წარმატება არ ჰქონია, როგორც ეხლა და ეხლა ვხედავთ, ეს შედეგი ჰქონდა დედა გასაგებ ენის უარ-ყოფას, რომელიც შემოიტანეს ჩვენში ოსმალეთში ნასწავლ ხოჯებმა. ბათუმში რომ სასწავლებელი გაიმართოს ქართულის ენისა, ლიტერატურის და ისტორიის სწავლებით, ხოჯებს შეუძლიათ ადვილ გასაგონის ენით ასწავლონ და აუხსნან. ხალხიც ადვილად მიხვდება ნათქვამსა. უკეთესი წესით და რიგით სწავლება რჯულისა, ყურანის რიგიანი თარგმნა, სხვა-და-სხვა საზოგადო სასწავლო საგნების შესწავლა მაღლა დააყენებს ნასწავლ ხოჯებს ხალხის თვალშიაც, პატივისცემა ექნება და ავისა და კარგის გარჩევაც მომატებულად ეცოდინება ვიდრე ეხლანდელ ხოჯებსა.

აი რა-და-რა განსაკუთრებული საჭიროება აქვთ ჩვენ მუსულმან ძმებსა, იმას გარდა, რაც ჩვენ გვეჭირვება. დღეს ამ მოხსენებულ საჭიროებას მეტის-მეტი ყურადღება ეჭირვება და ჩვენმა საზოგადოებამ ეს უნდა იცოდეს, დაუფიქრდეს, გამოარკვიოს და დაეხმაროს მის დაკმაყოფილებასა. დროა ამას მიუხედეთ და თავი დავანებოთ ძველ ტყუილ უბრალო ლაპარაკსა. ისევე სჯობს ნამდვილ პრაქტიკულ მოსაზრებას დავადგეთ, რომელიც კანონიერის გზით აღსასრულებელია, სასარგებლოა ჩვენის ძმებისათვის და მათთან ჩვენის დაახლოვებისათვისაც. ნუღარას ველაპარაკობთ ისეთს, რაც სარწმუნოებას შეეხება. პატივი ვცეთ ყველა რჯულს ერთგვარად.

ზ.

## ახალი ამბავი

*** † 31 დეკემბერს, წარსულ 1890 წელს, ღამის ცხრა საათზე, ქ. ტფილისს გარდაიცვალა ჩვენი ცნობილი მოღვაწე, წერა-კითხვის საზოგადოების მიერ დაარსებულ ბათუმის სკოლის მასწავლებელი მოსე ივანესძე ნათაძე. ამ სამწუხარო ამბავმა ძლიერ დაღონა და დაანაღვლიანა გარდაცვალებულის ყველა ნაცნობი და მთლად ქართველი ინტელიგენცია, რომლისთვისაც პატიოსანის და მხნე მუშაკის უდროვოდ დაკარგვა დიდს ზარალს შეადგენს. განსვენებული სულითა და გულით, სიცოცხლითა და მოღვაწეობით მხარში უდგა ჩვენს ინტელიგენციასა და ერთხელაც არ უღალატნია თავის წმინდა მოვალეობისათვის. განსვენებული ახალგაზდა მოღვაწე მზად იყო, რითა და როგორადაც-კი შეეძლო, დაჰხმარებოდა ჩვენის ცხოვრების წარმატებას. ხელობად თუმცა მასწავლებლობა ებარა და სასიქადულოდაც ასრულებდა ქ. ბათუმში, მაგრამ მარტო ამ ხელობას არ სჯერდებოდა. არც ერთი საქველმოქმედო საქმე ისე არ დაიწყებოდა ბათუმში, რომ მოსე ნათაძეს მონაწილეობა არ მიეღო,—ქართული წარმოდგენა იყო, თუ სამუსიკო საღამო ქართულ განათლების სასარგებლოდ, განსვენებული თავის წვლილს არ ჰზოგავდა და შრომას არ იშურებდა, გარდა ამისა, მოსე ნათაძე კალმითაც შეეწეობას აძლევდა ჩვენს მწერლობას და ბევრი საგულისხმიერო კორესპონდენცია და წერილი იბეჭდებოდა მისი „დროებასა“ და „ივერიაში“. განსვენებული უფრო ცნობილი იყო როგორც სამაგალითო მასწავლებელი. იგი ემსახურებოდა ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა მხარეს,—ქართლსა, გარე კახეთსა, სამეგრელოსა და ბოლოს დროს ბათუმში. ყველგან დიდს მხნეობას იჩენდა და რამდენჯერმე ჯილდოც მიუღია თავის სამაგალითო სამსახურისათვის „ქართველთა-შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ.

ამას უნდა დაუმატოთ გარდაცვალებულის სათნო ხასიათი და ბევრი ისეთი თვისება, რომელიც უნებლიედ ყველას იზიდავდა. სწორედ ასეთის ხასიათის და თვისების გამო მოსე ნათაძემ მალე მიიზიდა სული და გული ახლად შემოერთებულ გამაჰმადიანებულ ქართველებისა და დაუახლოვა იგინი დანარჩენს ქართველობას. უეჭველია, ჩვენთან ერთად იმათაც გული ჩასწყდებათ იმ ულმობელ ხვედრის გამო, რომელიც უდროვოდ ეწია პატიოსანს მოღვაწეს და კარგს მეგობარს. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!..

*** 31-ს დეკემბერს საჯარო გასასყიდად დანიშნული იყო ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან თოთხმეტი ქალაქის მამული და თექვსმეტი მამული სოფლისა. ამათ შორის გაიყიდა ქალაქისა ცხრა და სოფლისა ხუთი. დანარჩენი მამულების გაყიდვა გადიდვა მეორე ვადისათვის, რომელიც დანიშნულია 15 დეკემბერს.

*** ვიცე პრეზიდენტი სამეურნეო საზოგადოებისა კუჩაევი ახალწლის პირველს დღეს დაბრუნდა პეტერბურგიდგან ტფილისში.

*** ექიმი მაისურიანცი უკვე ჩა-

მოვიდა ბერლინიდგან ტფილისში და თან მოიტანა პროფესორ კოხის ჭლექის წამალი; ეს წამალი მხოლოდ ქალაქის საავადმყოფოში უნდა ახმარონ, ვიდრე ადმინისტრაციას ნება არ დაურთავს კერძო კაცებიც არჩინონ ამ წამლით.

*** წარსულ კვირას, „ტფილისის სობრანიის“ დარბაზში, ბ-ნმა ყარა-მურზამ გაჰმართა კონცერტი, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა მისგანვე გაწვრთნილმა ხორომ და ბ-ნ წოვეკმა და აკოფიანმა. ხორომ მშვენიერად სთქვა საერო ხმები და დიდი ალტაცება გამოიწვია საზოგადოებისა. ეტყობა, ბ-ნ ყარა-მურზას დიდი შრომა და ჯაფა გაუწევია, ხორო ამბობდა სამღერლებს მწყობრად, დალაგებით და უნაკლულოდ. განსაკუთრებით მოეწონა საზოგადოებას „კილიკია“, რომელიც სთქვა ბ-ნმა აკოფიანმა ხოროს დახმარებით.

*** ჩვენ მოგვივიდა მეოთხე შევსებული გამოცემა თ. ნ. ბარათაშვილის ლექსებისა, ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული. ლექსებს წინ უძღვის მცირე წერილი, ბიოგრაფიის მაგვარი, მაგრამ ამ ბიოგრაფიაში პოეტის მამის მელეტონ ბარათაშვილის შესახებ უფრო ბევრი ლაპარაკია, ვიდრე თვით პოეტის გამო. ამას გარდა გამომცემელი ისე უბოდიშოდ ეკიდება თავის მოვალეობას, რომ ამბობს, მაგალითებრ, რომ ბარათაშვილი ქ. განჯაში გარდაიცვალა 1845 წ. 9 ოქტომბერს. 1849 წ. ტფილისში გაჰმართეს ხელის-მოწყრა და მისის ძეგლის ასაგებად 600 მან. შეჰკრიბეს. ეს ფული მიაბარეს თ. მამუკა ორბელიანს, ფული ორბელიანსავე დარჩა და ბარათაშვილისათვის-კი არა გაკეთდა რაო. ამბობს ამას და არაფრით ასაბუთებს ამ თავისს ნათქვამს. ამას გარდა ლექსთა კრებულში ორი ლექსია სულ ახალი დაბეჭდილი და არსად-კი არ არის ნათქვამი, თუ საიდგან გამოსძებნა გამომცემელმა ეს ლექსები, რადა ჰგონია ბარათაშვილისად და რა საბუთი აქვს ხელში, რომ ეს ლექსები ბარათაშვილისაო. ერთს ლექსს ეწოდება „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ და, ჩვენის აზრით, ბარათაშვილის მუზასი არა ატყვია-რა, აზრი, შინაარსიც-კი ამტკიცებს, რომ ძნელად თუ ნ. ბარათაშვილს დაეწეროს. მეორე პატარა ლექსის შესახებ გამომცემელი ამბობს, რომ ეს ლექსი დაწერილია კნ. მართა ერისთავის თასზედ, და იმისას-კი არას გვეუბნება, ამ თასზედ წარწერილს ლექსს ბარათაშვილის გვარი აწერია, თუ არაო. აი ეს ლექსი:

გლოცავ დღეს ჩემის გაჩენის,
ბედნიერი ვარ მე, თასი:
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ
და მოსალხინო მართასი!

—

მოვედით სვედით მაშვრალნი,
გასვათ სასმელი ღმერთასი
და მვის გიქარვოთ გულისა,
ვით ერთი (,) ჭირი ათასი!

საზოგადოდ როცა ბარათაშვილისთანა მწერლების ახალს რამ ნაწარმოებსა ჰპოულობენ, დაბეჯითებით უნდა დაასაბუთონ კიდეც, რომ ეს ლექსი სწორედ ამ მწერლის ნაწერია და მის კალამს ეკუთვნისო, და მერე ჩაურთონ იმის ნაწერთა კრებულში. თორემ ყოველი ლექსი რომ ჩაურთოს კაცმა ასეთს კრებულში, რომელიც-კი სადმე მოხვდება ხელში, ისე აირევ-დაირევა საქმე, რომ ძალიან გონიერი კრიტიკაც ველარ გამოარჩევს ვარდს ჭინჭრისაგან და თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს, რომელი ლექსი ეკუთვნის ამადა-ამ მწერალსა და რომელი—სხვასაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მმართველობას კახეთის საუფლისწულო მამულისას მიუწვევია აგრონომები ბ-ნნი გეევსკი და სტაროსელსკი ამერიკის ვაზების სადგურის მოსაწყობად. როგორც ვიცით, ამერიკის ვაზს იმ გვარი თვისება აქვს, რომ ფილოქსერას არ იყენებს და ამის გამო ძალიან სასიხარულო ამბავია, რომ სამერმისოდ, როდესაც კახეთისაკენ ფილოქსერა გადავა, იქ უკვე ექნებათ საკმაო ამერიკის ვაზის რქები გამხმარ ვენახების გასაახლებლად.

*** რამდენიმე ახალგაზდა და განათლებულ ყმაწვილ კაცს გამოუგზავნიათ თხოვნა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისათვის და სთხოვენ: ნება დაგვრთეთ, რომ ჩვენც მონაწილეობა მივიღოთ ფილოქსერის ძებნისა და აღმოჩენის საქმეში და ამ შრომისათვის არავითარს სასყიდელს არა ვთხოულობთო. ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ ვისაც-კი შეუძლიან, დაეხმაროს საფილოქსერო კომიტეტს, რომელსაც ამ ჟამად არა აქვს საკმაო საშუალება, რომ ფილოქსერის აღმოსაჩენად მთელს კავკასიაში იმუშაოს.

*** დღეს, დილის 12 საათზედ, საბრანიის დარბაზში დანიშნულია მესამე და უკანასკნელი კონცერტი ბ-ნ ყარა-მურზას ხოროსი. ეს ხორო სომხურ ენაზედა ჰგალობს საერო საგალობლებს და უნდა ვსთქვათ, რომ საკმაოდ კარგად და მწყობრადაც ჰგალობს. პირველს ორს კონცერტზედ ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრო და ძალიანაც მოეწონა საზოგადოებას ყარა-მურზას ხორო, მით უმეტეს, რომ ეს ხორო საერო სიმღერებსა ჰგალობს, ავრცელებს ხალხში და პირველი მაგალითიც არის, რომ ასეთის სასიამოვნო საქმისათვის ხელი მოეკიდნოს ვისმე.

*** თელავი: სოფელ ზემო-ხოდაშენში მოხდა არა ჩვეულებრივი, შემაძრწუნებელი და ყოვლად საზარელი კაცის კვლა. საქმე აი როგორ გახლდათ: წარსულ წლის 25 დეკემბერს ე. ი. შობა ღამეს, სოფ. ზემო-ხოდაშენში შესცვივნოდნენ ავაზაკები ბერძნის არხიმანდრიტს ევგენიოზს, რომელიც იყო გამოგზავნილი ათონის მონასტრიდგან ყურის საგდებლად იმავე მონასტრის კუთვნილის მამულებისა და მძინარესთვის სამჯერ დაერტყათ ცული. ერთი დაერტყათ შიგ შუბლში და მთელი კეფა სულ ჩაეტანინებინათ. ტვინი ბალიშზე დაენთხია და მაშინადვე სული დალია. დანარჩენი ორი ჰრილობაც ცხვირპირში ჰქონდა. შობა დღესვე გამომძიებელი თ. ანდრონიკაშვილი და წინანდლის უწყების ბოქაული ბ-ნი იორამოვი წავიდნენ ზემო-ხოდაშენში ოქმის შესადგენად. ეჭვი მიტანილ იქმნა განსვენებულ არხიმანდრიტის მსახურზედ, რომელიც მაშინათვე შეიპყრეს. ამბობენ, ვითომ ამ მსახურს უთქვამს: განსვენებულ ევგენიოზ არხიმანდრიტის სახლში მეძინა ხოლმეო, მხოლოდ შობა ღამეს მითხრა, სამზარეულოში დაიძინე და, მეალილოები რომ მოვიდნენ, გარეკე ხოლმეო. შუაღამე იქნებოდა, როდესაც რაღაც ფეხის ხმა შემომესმა და მასთან ძაღლის ყეფა; ავდექ, მინდოდა კარში გამეხედნა და, კარებს რომ გამოვეწიე, გარედგან გადარაზული დამხვდაო; შემდგომ ფანჯრიდგან გადავხტი, შევედ არხიმანდრიტის საწოლ ოთახში და კაცი მოკლული დამხვდაო. მსახურს გარდა, შეპყრობილ იქმნა ბერძენთა არხიმანდრიტივე ნიფონი და მისი მსახური ქრისტოდულო. არხიმანდრიტი ნიფონიც ათონის მონასტრიდამ არის გამოგზავნილი მოადგილედ ევგონიოზისავე, რადგან ეს უკანასკნელი გაზაფხულზე უნდა წასულიყო საქართველოდამ. ორივე არხიმანდრიტნი ახლო-ახლო იდგნენ ერთმანეთზე და, ერთს სახლში სათითაო ოთახი ჰქონდა თითოეულს აჩენილი. სამივე შეპყრობილნი მაშინადვე გაგზავნილ იქმნენ თელავს. გულ-საკლავი სანახავი იყო ის სურათი, როდესაც ს. ხოდაშნის მამასახლისს და ჩაფრებს მოჰყავდათ ბრალდებულნი და, მათ შორის ნიფონ არხიმანდრიტი. საშინელი ლაფი იყო და არხიმანდრიტი სხვა შეპყრობილებთან ერთად მოდიოდა ქვეითი იმ ტალახში. გულზე ჯვრები ეკიდა, მაგრამ ჯვრებმა ვერ დაიფარა და ციხეში ჩასვეს საქმის გამოძიებამდე, რომელიც უკვე სწარმოებს და ჯერ-ჯერობით კიდევ არ გათავებულა.

როგორც სჩანს, განსვენებულს ევგენიოზ არხიმანდრიტს დარჩენია ათას თუმანზე მეტი. ეს ფული ჰქონია შეტანილი სხვა-და-სხვა ბანკებში, ოთხასი თუმანი ათონის მონასტრის სახელობაზე, ხოლო დანარჩენი თავის სახელობაზე.

*** დ. ხონი: საუკეთესო ნაწილი ჩვენის დაბისა 28 დეკემბერს ცეცხლმა იმსხვერპლა. ცეცხლი გაჩნდა საღამოს ხუთს საათზედ და, რადგან აღმოსავლეთის ქარი ჰქროდა, ორის საათის განმავლობაში 145 დუქანი დაანაცრა. ამ უბედურების დროს ყოველს ქუჩაზედ ისმოდა „მიშველე“-ს ძახილი, მაგრამ ამაო იყო ვედრება. ხალხი თუმცა ზღვასავით იდგა ქუჩებში და ბევრნიც სცდილობდნენ ცეცხლის შეკავებას, მაგრამ საჭირო იარაღების უქონლობისა გამო ჯეროვანად ვერა ჰშველოდნენ საქმეს.

*** ამ თვის 2-ს ხიდის ყურზე ენიკოლოფოვის სახლში სამსახურს გარეშე მყოფმა უნტერ-აფიცერმა ილია კონდრატეს ძემ ვარინმა თავი ჩამოირჩო. ვარინი მუდამ სმასა და ლოთობაში ატარებდა თავის სიცოცხლეს. მიცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

*** 30 დეკემბერს ნაშუადღევის ოთხს საათზე სოფ. ერტისი-ს მცხოვრებელმა იაგორ ზაზიევმა სინოდალურ კანტორის პროკურორის სადგურიდგან მოიპარა სარეცხი 40 მანეთისა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** 29 დეკემბერს ოლგას ქუჩაზე პოლკოვნიკის წილოსანის სახლთან იპოვნეს ერთის კვირის მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** იმავე დღეს აგურხანების ქუჩაზე ეკატერინე ელბაქიძეს დაუკეტავის სადგურიდგან მოჰპარეს 410 მან. ოქროს ნივთეული. ეჭვი პატრონმა მდგმურებზე გამოაცხადა.

*** 30 დეკემბერს იოსებ ავეტიქოვის დუქნიდგან ხოსროევის ქარვასლაში მოიპარა ორი ცხვარი და ორიც ტყავი სიღნაღის მცხოვრებელმა არტემ არუთინოვმა, რომელიც შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

*** 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მეორე თუმანოვის ქუჩაზე, ლევან თუმანოვის სადგურის სახლის აივნიდგან მოიპარეს 100 მანეთიანი თბილი პალტო და ერთიც ძველი ხალიჩა, 15 მან. ღირებული.

## წვრილი ამბები

ამ 1891 წ. ევროპაში ორი მზის დაბნელება უნდა მოხდეს და ორიც მთვარისა. მზე დაბნელდება 25 მაისსა და 19 ნოემბერს, მთვარე—11 მაისსა და 3 ნოემბერს.

— გენუის უნივერსიტეტში ამ წლიდგან დაუარსებიათ „მოგზაურობის“ ფაკულტეტი. იმ ყმაწვილ-კაცებისათვის, რომელნიც მოგზაურობას განიზრახავენ შორეულს ქვეყნებში, დაწესებულია უნივერსიტეტი ან სპეციალური კურსი გეოგრაფიისა, ანტროპოლოგიისა, ეტნოგრაფიისა, გეოლოგიისა და ბუნების მეტყველებისა. ამასთან შეერთებულია ლექციები სამკურნალო მეცნიერებისა, სტატისტიკისა და ფოტოგრაფიისა.

— ინგლისელი ექიმი ფოქსი ამბობს, რომ ჩუტყვავილა წიგნთ-საცავიდგან წასაკითხად აღებულ წიგნებიდგანაც ვრცელდებაო. ერთს ოჯახში სამჯერ გადაედო ეს სენი, მიზეზს ვეძებდი და უეცრად მივაქციე ერთს წიგნს, რომელიც წიგნთ-საცავიდგან გამოგვეტანათ. როცა კარგად გამოვიძიე საქმე, შევიტყე, რომ ამაზედ წინად ის წიგნი ერთს ოჯახში ჰქონიყოთ, სადაც ჩუტყვავილათი ავადმყოფი ჰყავდათ თურმე.

— ახირებული ანდერძი თუ გინდათ, ეს არის. ექიმმა ცოპფომ, შვეიცარიის ქალაქ გლარუსში გარდაცვალებულმა, შემდეგი ანდერძი დასტოვა თურმე: ამ კაცს დარჩა 20,000 ფრანკი, რომელიც იმის მემკვიდრეებს ვერ გაამდიდრებდა. ანდერძის წერილში ნათქვამია, რომ ეს მცირე ფული ბანკში შეიტანეთ, იმატოს სარგებლით და როცა ასმა წელიწადმა გაიაროს და 3 მილიონად გადაიქცეს, ამ ფულის სარგებელი თანასწორად განაწილონ ჩემმა მაშინდელმა შვილი-შვილებმაო.

— მამონტის ტყეში, კალიფორნიაში, უპოვნიათ უშველებელი ხე, რომელსაც ეხლა სჭრიან, რომ ჩიკაგოში 1893 წ. გასამართავ მსოფლიო გამოფენაზე მიიტანონ. ეს ხე 45 არშინის სიმსხოსია და 8 კაცი ამუშავებს ხერხს იმის მოსაჭრელად. ორთა შუა რიცხვით, ხე წონით 1,250 ფუთი გამოვა.

— მონაკოდგან იუწყებიან, რომ დეკემბრის უკანასკნელს რიცხვებში რვა კაცმა მოისწრაფა სიცოცხლე ფულის წაგების გამო. უკანასკნელი მსხვერპლი იყო შუახნის კაცი, რომელმაც თავის ნომერში ჩამოირჩო თავი მონტე-კარლოდგან დაბრუნებისათანავე. ამაზედ ერთის დღის წინად ნიცასა და მონტე კარლოს შუა მდებარე უდაბურს ადგილშიაც ერთის ინგლისელის გვამი იპოვნეს. ეს ინგლისელი უმაღლესს არისტოკრატიას ეკუთვნოდა და თითონვე მოკლა თავი დამბაჩით. ადგილობრივი მთავრობა დიდად შეწუხებულია ამ კაცის უბედურებით და იმის გვარსა ჰმალავენ, რომ არ შეაწუხონ იმისი წარჩინებული ნათესავები. უკანასკნელს დღეს თავისის სიცოცხლისას ამ ინგლისელმა 1.020,000 მანათი წააგო და მგონი ამ წაგებამ ჰყო იძულებული თავი მოეკლა.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

3 იანვარი

ჩვენ მოგვივიდა ქ. ბათუმიდამ შემდეგი დეპეშა ბ. ვოლსკიდან: გამოუცხადეთ უდროოთ გარდაცვალებულის, პატიოსნის და წუნარი მშრომელის, მოსე ნათაძის, სახლობას გულითადი მწუხარება ბათუმის ქართველის საზოგადოებისა და აგრეთვე დაობლებული ბათუმის სკოლისგან, რომელიც აგრე დიდათ და მხურვალედ უყვარდა განსვენებულს.

31 დეკემბერი

პეტერბურგი. ტარიფის კომიტეტმა დაადგინა: აწ მომქმედი საღვთო ტარიფები იმ გზებზე, რომელთაც ვერ მოასწრეს შეამდგომლობა, რომ გახანგრძლივებულ იქმნასო, ისევ ძალაში იქმნეს დარჩენილი იანვრის პირველიდგანაც 1-ლ აპრილამდე.

ცნობილი სეიერა გარდაიცვალა.

1 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უქვეშევრდომილესი მოხსენება ფინანსთა მინისტრისა 1891 წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაზედ. მოლოდინი აქვთ, რომ ჩვეულებრივი შემოსავალი იქნება 897 მილ., 8 მილიონით მეტი წარსულს წლისაზედ; ჩვეულებრივი გასავალი 895 მილ., შარშანდელზედ 7.800,000 მან. მეტი. ჩვეულებრივის ხარჯთ აღრიცხვით შემოსავალმა გასავალს უნდა გადააჭარბოს 1.868,000 მ. საგანგებო ხარჯისათვის დანიშნულია 63 400,000 მან. ეს ხარჯი უნდა დაჰფარონ: 13.750,000 მან. სხვა-და-სხვა სპეციალურ წყაროდგან შემოსულმა და 47.794,000 მან., რომელიც სახელმწიფო ხაზინაშია თავისუფლად. ჩვეულებრივი ხარჯი მომატებულია 24.136,000 მანათით. მეტს შემოსავალს მოელიან: ვაჭრობის უფლების გადასახადისა 1.180,000 მან., სასმელების ბაჟისა 6.142,000 მან., თამბაქოს აქციზისა $1^1/_2$ მილ. მან., ტყეთა შემოსავლისა 1.702,000 მან., ხაზინის რკინის გზებისა 3.359,000 მან., კერძო რკინის გზებისა 1.168,000 მან. და სხვა-და-სხვა სპეციალურ წყაროდგან 2.215,000 მან. შემოსავალი შემცირდება მოლოდინით 15.835,000 მან., ამათში 10.819,000 მან. ტამოჟნის ბაჟისა, რადგან მანეთის კურსმა აიწია. ხარჯმა იმატა თითქმის ყველა უწყებაში, გარდა სასახლის სამინისტროსი, რომლის ხარჯ-აღრიცხვაც 1884 წლიდგან შეუცვლელად არის დატოვებული. სამხედრო სამინისტროს ხარჯი ჰმატულობს 4.610,000 მან., ამ ფულში ორი მილიონი ყაზარმების აშენებაზედ უნდა დაიხარჯოს; ზღვათა სამინისტროსი—4.566,000 მანათით. საგანგებო ხარჯი დანიშნულია: რკინის გზების გაყვანისა და განკარგებისათვის 33.955,000 მან., ნავთ-სადგურების ასაგებად—8.958,000 მან., ჯარის შესაიარაღებლად—20.000,000. სიფრთხილე და ზომიერება ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელშიაც ამ სამს უკანასკნელს წელიწადს შემოსავალი გასავალსა ჰმეტობდა, აშკარად სჩანს, ისეთ შედარებული მოსალოდნელი შემოსავალი ნამდვილ შემოსავალთან. უკანასკნელ წელიწადს შემოსავალმა 924 მილ. მან. აიწია. კონვერსიებმა სახელმწიფოს უკუ აგდებინა 9 247,000 მან. იმის წყალობით, რომ 4% ქაღალდის ფასმა თანდათან აიწია. ყველაზედ მეტი შრომა ფინანსთა სამინისტროს წარსულ წელს მოუხმარებია ტამოჟნის ტარიფების განხილვისა და გადასინჯვისათვის. ეს საქმე დაწყებულია ჯერ 1887 წ. და დაუღალავად სწარმოებდა 4 წლის განმავლობაში მასალის შეგროვებაში.

1890 წ. პირველ ქქსს თვეში განსაკუთრებული საბჭო იქმნა შედგენილი ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით და შეუდგა შეკრებილ მასალის გარჩევასა და განხილვას. შემოდგომაზედ თავი მოიყარა განსაკუთრებულმა უმაღ. ლესად დამტკიცებულმა კომისიამ, რომელმაც 21 კრების განმავლობაში 10 ოქტომბიდგან 7 დეკემბრამდე წვლილად განიხილა ყოველივე ადრევე განზრახული ტარიფი. ამ კომისიაში ისეთი კაცები იღებდნენ მონაწილეობას, რომ მარტო იმათი მონაწილეობაა თავმდები, რომ საქმე რიგიანად სწარმოებდა და კომისიას საგნად ჰქონდა განევითარებინა და მტკიცე ნიადაგზედ დაემყარებინა რუსეთის მრეწველობა. მოხსენება შემდეგის სიტყვებით თავდება: „ყველა აქ ჩამოთვლილი ღონისძიებანი, რომელთაც მოკვლეობისამებრ თვისისა მოახსენებს ფინანსთა მინისტრი თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ვრცელის მოღვაწეობისა, რომელსაც ადგია ყველა უწყება თქვენის რჩევისა და სურვილისამებრ. მთელს რუსეთს მტკიცე იმედი აქვს, რომ ეს მოღვაწეობა თქვენის უდიდებულესობის ხელმძღვანელობითა და შეწევნითა ღვთისათა, მიაღწევს თქვენ მიერ აღნიშნულს საგანს—განაკარგებს და განამტკიცებს ერის კეთილ-დღეობას და მშვიდობიანი პოლიტიკა თქვენის უდიდებულესობისა, პოლიტიკა, რომელიც დაუღალავად იცავს ღირსებასა და პატიოსნებას იმპერიისას და რომელმაც მშვიდობიანობა ხელ-შეუხებელი ჰყო ძნელს დროშიაც-კი, განამტკიცა მისი ფინანსები და განაძლიერა კრედიტი, ამაერიდგანაც, ღვთის კურთხევითა და მფარველობითა, კეთილს გზაზედ ივლის, დაუბრკოლებლად აღსრულდება თქვენის უდიდებულობის მეფობის სასახელოდ და თქვენის უსაზღვროდ ერთგულის რუსეთის ერის საკეთილდღეოდ“.

ბერლინი. ოფიციალურმა დისკონტმა დაიწია 4%-მდე.

პეტერბურგი. უმაღლესად ებოძათ ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა კავკასიის სწავლა-განათლების უწყების მზრუნველს იანოვსკის და თეთრის არწივისა: სასპატიო მზრუნველს თეოდოსიის გიმნაზიისას აივაზოვსკის. ხელმწიფის მადლობა გამოეცხადა: სამხედრო გუბერნატორს სამარყანდის ოლქისას იაფიმოვიჩს და მისს თანაშემწეს პუგალოვს და უმაღლესი მადლობა: ტფილისის გუბერნატორს თ. შერვაშიძეს. ვიცე-ადმირალი კოპიტოვი დანიშნულ იქმნა შავისა და კასპიის ზღვების ფლოტისა და ნავთ-სადგურების უფროსად და ქ. ნიკოლაევის სამხედრო გუბერნატორად.

დოსტაქარს რეიერს ნადირობის დროს უბედურება დაემართა: რეიერი ნადირს უდარაჯებდა და წასთვლემა—გაიგონა უცებ თოფის ხმა, წამოვარდა ფეხზედ, უცებ ხელი ჰკრა თავის თოფის ჩახმახს, თოფი დაიცალა, ტყვია ნიკაპში ეცა და თავში გაუჩერდა, რის გამოც გარდაიცვალა დაშავებული.

2 იანვარი

მოვიდა ღამის 2 საათზედ

პეტერბურგი. ამ რიცხვს მომხდარ ტირაჟში პირველ შინაგან მომგებიან სესხის უმთავრესი მოგებანი ხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერიისა. | №№ ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|
| 10078 | 24 | 200,000 |
| 17114 | 23 | 75,000 |
| 1390 | 28 | 40,000 |
| 862 | 20 | 25,000 |
| 8975 | 16 | 10,000 |
| 14208 | 9 | 10,000 |
| 86157 | 27 | 10,000 |
| 14150 | 46 | 8,000 |
| 13170 | 50 | 8,000 |
| 17212 | 18 | 8,000 |
| 12308 | 7 | 8,000 |
| 13729 | 42 | 8,000 |
| 18576 | 4 | 5,000 |
| 19491 | 43 | 5,000 |
| 4082 | 17 | 5,000 |
| 14578 | 9 | 5,000 |
| 13869 | 10 | 5,000 |
| 15294 | 41 | 5,000 |
| 9682 | 28 | 5,000 |
| 6961 | 17 | 5,000 |
| 15643 | 38 | 1,000 |
| 15593 | 7 | 1,000 |
| 5339 | 47 | 1,000 |
| 52515 | 20 | 1,000 |
| 17801 | 3 | 1,000 |
| 9297 | 4 | 1,000 |
| 13968 | 45 | 1,000 |
| 22111 | 33 | 1,000 |
| 9903 | 31 | 1,000 |
| 14793 | 29 | 1,000 |
| 1076 | 16 | 1,000 |
| 9890 | 41 | 1,000 |
| 7007 | 37 | 1,000 |
| 2845 | 16 | 1,000 |
| 15713 | 28 | 1,000 |
| 343 | 14 | 1,000 |
| 6482 | 7 | 1,000 |
| 11739 | 3 | 1,000 |
| 8567 | 30 | 1,000 |
| 7984 | 41 | 1,000 |

3 იანვარი

ბერლინი. „Medizinsche Wochenschrift“-ის ნომერში, რომელიც ხვალ გამოვა, ექიმი კოხი ახსნის, თუ რა გზით იპოვა ჭლექის წინააღმდეგი წამალი, ან როგორ მზადდება უკანასკნელი. წამალი არის შედეგი სხვადა-სხვა ნივთიერებისა. უმჯობესია ურევია ცილა (билковинный), მაგრამ ტოქსულ-ბუმუნი-კი არ არის. კოხის წამალი ჰკლავს ცოცხალ პროტოპლაზმას და ბათილლას ცხოვრების ღონესართმევს.

### პეტერბურგის ბირჟა, 2 იანვარი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებანი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 87 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 135½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 07 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 234½ |
| —მეორისა | — „ | — „ | 218½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 211¼ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერიჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

---

## განცხადებანი

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Кавказскій стѣнной календарь. რუსულ-ქართულ-სომხურ-თათრულ ენებზე | 1 | „ |
| მიბაძვა ქრისტესი წიგნი III—IV ყდით | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა | 1 | „ |
| თხზულებანი რ. ერისთავისა II ნაწ. | „ | 40 |
| კედლის კალენდარი 1891 წლისა | „ | 40 |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა | „ | 25 |
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი | „ | 55 |

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—1)

ამხანაგობა სარპინკის კეთების მრეწველთა სარატოვში.

1891 წლის სეზონი.

გვაქვს ახლად-ახალი, მშვენიერი სახიანი ნაქსოვი, ესრედ წოდებული

**ს ა რ პ ი ნ კ ა,**

ვყიდით ნარდად და წვრილ-წვრილადაც რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით.

სარპინკას ნიმუშებს დავუგზავნით 15 ნოემბრიდგან ყველას, ვინც 42 კაპეიკს გამოგვიგზავნის ალბომისას.

ფასები და პირობანი ალბომშია მოხსენებული. მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ შეიძლება.

10—6

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) კედლის კალენდარი 1891 წ., რომელიც შეიცავს საკალენდრო ცნობებს მართლ მადიდებელთა, კათოლიკეთა და სომეხთა ეკკლესიებისას, ცნობებს აგრეთვე საქართველოს საეკკლესიო და სამოქალაქო ისტორიიდგან, ანგარიშს მზის ამოსვლა-ჩასვლისას და მთვარისას, საუკეთესო ადგილებს, ამოკრებილს დამაკვირდიდგანა და ნაკვესებიდგან, შემოკლებულს ქართულს სამზარეულოს და ზოგიერს სახარგებლო ცნობას . . . . . „ 40

2) იგივე სტოლზედ დასადგმელი შემკობილი სურათი . . . . . „ 80

3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით „ 80

4) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . 1 25

5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი . . . . . „ 15

6) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . . . . „ 25

7) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . . . . 1 „

8) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა . . . . . „ 60

9) „ჯემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . . . . . „ 15

10) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა . . . . . 1 „

11) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . . . 3 50

12) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა . . . . . „ 50

13) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . „ 50

14) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . „ 75

15) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . „ 20

16) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . „ 20

17) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ბ. მღებრიშვილისა წიგნი III და IV „ 60

18) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილებით. ხუსკივაძისა. . . . . „ 20

19) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა. . . . . „ 20

20) „ძეგლის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა . . . . . „ 25

21) „იავნანამ რაჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა. „ 10

22) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . „ 20

23) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა. . . „ 40

24) ქანნა—დარკ . . „ 5

25) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . „ 5

ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა.

Доз. цен. Тифлисъ, 3-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.